1. დაუყოვნებლივ შეუდგენ თამბაქოსათვის გამოყოფილ და დახნულ მთელი ფართობის შემოწმებას იმ მიზნით, რომ დაწესდეს ფართობის ნამდვილი ოდენობა და გამოირკვეს მომზადებული ნიადაგის ხარისხი, ხანთანდო აქტების შედგენით თვითეული ცალკე უბნისათვის, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას პირველი ხვნის გამოაშკარავებული დეფექტების გამოსწორება მეორე ხვნის დროს.

2. არ დაუშვან სათამბაქოდ გამოყოფილი და დახნული მიწების გამოყენება სხვა კულტურებისათვის.

3. სათამბაქო მიწების მეორე დახვნა მოაწყონ ისეთი ანგარიშით, რომ მისი ვადები დაუკავშირდეს დარგვის კალენდარულ ვადებს და მეორე დახვნა ჩატარდეს ათი დღით ადრე ცალკე თვითეული უბნის დარგვამდე; ამასთან მეორე დახვნა პირველ რიგში ჩატარდეს მზრალად დახნულ მიწებზე.

4. ცერცველას და შვრიას ნარევის ნათესებით დაკავებული ფართობი გამოყენებულ იქნას თამბაქოსათვის, სათივედ მათი ალების შესაძლებლობის მიუხედავად, ამასთან ამ მიწების დახვნა ჩატარდეს 15 დღით ადრე მოცემულ უბანზე თამბაქოს დარგვამდე.

5. შეიტანონ სასუქი მეორე ხვნის შემდეგ 7—10 დღით ადრე დარგვამდე, შემდეგომი დაფარცხვით.

პერსონალური პასუხისმგებლობა იმ უბნების გამოყენებისათვის, რომლებიც მინერალური სასუქის შეტანას საჭიროებენ, აგრეთვე მინერალური სასუქის თავის დროზე შეტანისა და გაშლისათვის, დაეკისროთ თამბაქოს დარგში მომუშავე აგრონომებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უფროსს აგრონომებს.

6. თავის დროზე ჩაატარონ იმ სათამბაქო მიწების შეწამვლა, რომლებსაც აქვს მავნებლების გავრცელების ნიშნები.

7. იმ მიზნით, რომ დაჩარდეს ნერგის ზრდა და დაცულ იქნას იგი გაფუჭებისა და დაღუპვისაგან, უზრუნველყონ შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

ა) ნერგის გამანაყოფიერებელი მორწყვა;

ბ) ნერგის თავის დროზე გათხნა;

გ) აპარატურის და შხამის მომზადება ნერგის დაავადების შემთხვევისათვის;

დ) მუდმივი მორიგეობის დაწესება სანერგეებთან;

ე) კოლმეურნეობათა აგრორწმუნეებულების და აგროპერსონალის შემადგენლობიდან თვითეულ სანერგეზე ნერგის მოშენებისა და მისი დაცვისა თვის პასუხისმგებელ პირთა გამოყოფა.

8. აწარმოონ დამარკვა და დარგვა კულტივაციის ჩატარების შესაძლებლობის გათვალისწინებით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 75 ათასი ძირი სამხუნის და 65 ათასი ტრაპეზონის თამბაქოს გადარგვა ერთ ჰექტარზე.

9. უზრუნველყონ თამბაქოს დარგვის დამთავრება 10 ივნისისათვის.

10. აწარმოონ დარგვა სავალდებულო წესით 5 დღის განმავლობაში დღიდან თამბაქოს დარგვისა თვითეულ ნაკვეთზე.

11. დარგვის დამთავრების მიხედვით თამბაქოობის რაიონულ ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ ჩაატარონ დამატებითი დარგვა.

12. უზრუნველყონ თამბაქოს პლანტაციების პირველი გათხნვის ჩატარება დარგვიდან 10 დღის განმავლობაში, მეორე გათხნვა—პირველი გათხნვიდან 12—15 დღის შემდეგ.

13. სარწყავ რაიონებში ჩაატარონ 3 დან 4-მდე მორწყვა შემდეგ ვადებში: დარგვამდე პირველი გათხნვის წინ, მეორე გათხნვის წინ და თამბაქოს ზრდის პერიოდში.

14. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მოითხოვს ნაცრესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტებისაგან და მეთამბაქოობის ყველა რაიონებისაგან თავის დროზე ჩაატარონ თამბაქოს პლანტაციების დარგვის და მოვლის ყველა ხამუშაოები და ვსებით უზრუნველყონ 1933 წლის მოსავლის დაკონტრაქტებული თამბაქოს რიგორც ხარისხობრივი, ისე რიცხვობრივი მიღება. მიღებული ზომების და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ აცნობონ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს 20 მაისს.

თამბაქოს დარგვის ტემპები უნდა გაძლიერდეს

მიმდინარე წელს საქართველოში, თამბაქო უნდა დაირგას 18.200 ჰექტარზე. მიწსახკომის ცნობებით, 10 მაისისათვის მთელს რესპუბლიკაში თამბაქო დარგული იყო 974 ჰექტარზე (გეგმის 5,4 პროცენტი). აქედან კოლმეურნეობებში თამბაქო დარგულია—926 ჰექტარზე (გეგმის — 14,6 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებში—36 ჰექტარზე (გეგმის 3 პროც.).

ცალკე რაიონების მიხედვით თამბაქოს დარგვა ასეთ სურათს გვაძლევს.

ხილნალის რაიონის კოლმეურნეობებს დარგული აქვთ—48 ჰექტ. (გეგმის 24,7 პრ.), ერთპიროვნულ მეურნეობებს 20 ჰექ. (3,8 პრ. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნ.—837 ჰექტ. (გეგმის—45,4 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებში—9 ჰექტ. (გეგმის 0,8 პროც.); ახმეტაში 6 მაისისათვის კოლმეურნეობებში დარგული იყო—41 ჰექტ. (გეგმის 1,5 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებში ამავე რიცხვისათვის დარგვა არ იყო დაწყებული.

10 მაისისათვის თამბაქოს დარგვა არ ჰქონდათ დაწყებული ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის და ამბროლაურის რაიონებს.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ მეთამბაქოობის რაიონულ ორგანიზაციებმა, ხელსაყრელი ამინდების დადგომის თანავე ვერ მიიღეს გადამჭრელი ზომები დემობილიზაციური განწყობილების აღსაკვეთად და დარგვის ტემპების გასაზრდელად. ხელმძღვანელობენ ერთპიროვნულ მეურნეობებს, ამის გამო თამბაქოს დარგვა ამ სექტორში 10 მაისისათვის მასიურად არ იყო დაწყებული.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. დარგვის ტემპების ყოველმხრივ დაჩქარებასთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დარგვის ხარისხს. თამბაქოს დარგვა უნდა დამთავრდეს 10 ივნისამდე—ასეთია ამოცანა.

მეთამბაქოების რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმოო-მოქმედო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებისადმი.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მაღალ საფეხურზე აყვანით, სოციალისტიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით, პარტმასიური მუშაობის საწარმოო ბრიგადებში გაღატანით და კოლმეურნეობის წინააღმდეგობის გატეხით შეთამბაქოობის რაიონებმა უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა თამბაქოს დარგვის საქმეში.

თ. ო.

ყურადღება თამბაქოს გადარგვას ერთპიროვნულ სექტორში

(ზუგდიდის რაიონი)

მიმდინარე წელს გეგმით ზუგდიდის რაიონში თამბაქო უნდა დაირგას 307 ჰექტარზე. აქედან კოლმეურნეობებში დაირგება—133 ჰექტ., ერთპიროვნულ მეურნეობებში, — 174 ჰექტ.

წელს რაიონში თამბაქოს სანერგე მოწყობილ იქნა 40.655 კვად. მეტრზე. აქედან კოლმეურნეობებში— 20.875 კვ. მეტ. ერთპიროვნულ მეურნეობებში—19.777 კვ. მ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწებანმა სანერგეებში არ ჩაატარა ნიადაგის დეზინფექცია (შეწამელა). ამის გამო ნიადაგში თავი იჩინა ნერგის მავნებელ მახრამ, რომელიც აზიანებს ჩითილებს (ნერგებს). რაიონი არ არის მიმაგრებული მინდრის მავნებელთა წინააღმდეგ საჭირო ნივთიერებით, მაგალითად, როგორიცაა: შაბიამანი, გოგირდი, დარიშხანი, პარიზის მწვანე და სხვ.

ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ერთპიროვნულ მეურნეებს სანერგეების წესიერად მოვლის საქმეში. სოფ. რუხისში სანერგე მოაწყვეს აგრონომიული წესების არა სრული დაცვით. გარდა ამისა იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთ სასოფლო - საბჭოში თამბაქოსათვის ნიადაგი მოხნეს არა წესიერად (ხარვეზებით ხვნა და სხვ.).

ეს გარემოება ავალებს რაიმიწგანს და სამ.-სატ. სადგურის დირექციას გადაჭრით გააძლიერონ აგრო-მეთვალყურეობა ერთპიროვნულ მეურნეობებისადმი.

თამბაქოს დარგვა რაიონში უნდა დაწყებულიყო 25 აპრილიდან, მაგრამ ხშირი წვიმების გამო,—ეს ვადები ვერ იქნა დაცული.

სპეციალისტთა კომისიამ შეამოწმა, თუ რა ზიანი მიაყენა ცუდმა ამინდმა თამბაქოს სანერგეებს და გამოირკვა რომ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში დაზიანებულია ნერგების უმნიშვნელო რაოდენობა.

დაზიანებულ ჩითილების (ნერგების (აღსანიშნავია ღია კვლებში დათესა თამბაქოს შერჩეული თესლი. ასე, რომ თამბაქოს ნერგებით რაიონი უზრუნველყოფილია.

ამჟამად ჩვენი საბრძოლო ამოცანაა — ვაძლიერებული ყურადღება მივაქციოთ ნერგების წესიერად მოვლას და დაჩქარებით წესით ჩავატაროთ თამბაქოს გადარგვა რომ. გორც კოლმეურნეობებში, ისე ერთპიროვნულ სექტორში.

აგრ. პ. ჟიქავა.

მზადება 1911 წ. დაბადებულთა გაწვევისათვის

წითელ არმიას---ღირსეული შემცვლელა

წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი წვევამდელთა შორის

ვიბრძოლოთ მზადების საუკეთესოდ ჩატარებისათვის

(თბილისის რაიონი)

გაწვევის წარმატებით ჩატარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მოსამზადებელი მუშაობის კარგად დაუნება. სწორედ ამით აიხსნება ის გაცხოველებული მუშაობა, რომელსაც ამჟამად ატარებს თბილისის და მისი რაიონის სამხედრო კომისარიატი.

სამხედრო კომისარიატმა ძირითადად შესძლო გაწვევისათვის მოსამზადებელი მუშაობის დამაკმაყოფილებლად წარმართვა. მან გაწვევის გარშემო გაამაღა ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია და მასში ჩაება ადგილობრივი ორგანიზაციები.

იმ მიზნით, რომ ზუსტად აღირიცხოს თვითეული წვევამდელი, შეასრულოს მისი ქონებრივი და კლასობრივი მდგომარეობა, დადგინდეს ვინ რეზერვი.

შედარებით უკეთესად ჩატარდა მუშაობა ალის, სურამის, ავლეურის, საკიხურის, ოქტომბრის და გეგორძეთის სასოფლო საბჭოებში, სადაც წერტილზე მიწერა კარგათ დამთავრდა. ეხლა მიმდინარეობს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირემცოდნეებთან და თავდაცვა-ავიაქიმის ბაზით სამხედრო მომზადება მიმდინარეობს.

ხელმძღვანელობას მოეკიდნენ ამ დახმარებების ბარათების შეტანას.

მეცირე მნიშვნელოვანი საკითხი გაწვევის მოსამზადებელ მუშაობაში არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, თანამედროვე ტენდენციის განვითარება და საბრძოლო ტექნიკური საშუალებებით წვრთელი არმიის შეიარაღება მებრძოლი წინაზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე და პოლიტიკურად შეგნებული. ამ ძირითად ხაკითხის მოყვანაზე ხელმძღვანელობენ წარმოუფლებელი წვრთელი ოპერაციული შტაბის ლიკვიდაციის უზრუნველყოფა. ხამხ. კომისარი, მაგრ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ვერ ჩაიოველება დამაკმაყოფილებლად.

თბილისში აღირიცხება წერა-კითხვის უცოდინარი 98 უცოდინარი, 579 მცირემცოდნე, ამ რიცხვიდან ლიკპუნქტებში მიზიდულია მხოლოდ 73 უცოდინარი და 434 მცირემცოდნე, რაც დაახლოებით 75 პროც. შეადგენს.

რაიონებში აღრიცხულია წერა-კითხვის უცოდინარი —255 და მცირე მცოდნე 640 ამათგან ლიკპუნქტებში მიზიდულია 275 უცოდინარი და 607 იცირე მცოდნე. როგორც ვხედავთ, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა მიიკოჭლებს. ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ა.-კ. ორგანიზაციები არა საკმაოდ ხელმძღვანელობენ ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ა, მთავარი მიზეზები, რომლებიც აფერხებენ მუშაობას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის აუცილებლობის გარშემო საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შექმნა, თვითეული წვევამდელის განმარტება, თუ რას მოითხოვს მისგან წითელი არმია და რა ამოცანები ეკისრება მას არმიაში მოსვლის პირველი დღიდანვე.

ჩვენ მოგვეპოება ყველა შესაძლებლობა, იხელმძღვანელოთ, რომ აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა. მხოლოდ საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია.

ხ. გოლ—ძე

ბოლომდე მივიყვანოთ ბრძოლა უმაღლესი ხარისხის ცემენტისათვის

(ჩვენი [illegible] ქიმიური კომბინატიდან)

თბილისი და ქირქვის საბადო ცემენტის წარმოებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ნედლეულის ბაზას წარმოადგენს. ამ ნედლეულის ბაზაზე ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ცემენტის ქარხანა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ათეულობით ათასი ტონა ცემენტის პროდუქციას აწარმოებდა.

ამ ქარხნის ისტორია ცხადყოფს, თუ რა ბრძოლა მოუწია ქარხნის კოლექტივს ცემენტის ხარისხის ამაღლებისათვის. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ ბოლომდე არ დამთავრებულა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი იყო ბრძოლა ცემენტის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა ცემენტის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა ცემენტის ხარისხის ამაღლებისათვის

საფრანგეთის პრესის გამოკაკხილი

ამხ. ლიტვინოვის განცხადებაზე ალმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ

(„იზვესტია“-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 13 მაისი. საფრანგეთის პრესა კომენტარიებს უკეთებს ამხ. ლიტვინოვის განცხადებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის შესაძლებლობის შესახებ, როგორც მუშაურ-გლეხური რესპუბლიკის მშვიდობიანი პოლიტიკის მაჩვენებლისა.

„პტი პარიზიენ“-ი ამ განცხადებებზე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების შესახებ წერს, რომ „ყველანი ისეთნი, როგორც გამოჩენილი სახელო კომისარი ლიტვინოვი, დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი წინადადების წინააღმდეგ რკინის გზის გაყიდვის შესახებ გაიღაშქრებენ მხოლოდ ისინი, ვინც რატომღაც დაინტერესებულია იაპონია-საბჭოთა კავშირის, ან მანჯურია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გაფუჭებაში“.

„ერ ნუველ“-ი, რომელიც გამოხატავს საფრანგეთის მთავრობის წევრთა საერთო შეთანხმებულებას, სწერს:

„საბჭოთა კავშირი იძლევა თავისი მშვიდობისმოყვარეობის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, როცა აყენებს წინადადებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის შესახებ. ამიტომ ჩვენ გულწრფელი შეშფოთებით ვკითხულობთ ინგლისურ წყაროებიდან მიღებულ დეპეშებს იაპონია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გამწვავების შესახებ. იმის, შესაძლებლობის საკითხის, განხილვის დროს საჭიროა შევეკითხოთ თავის თავს: მიზნად ისახავს თუ არა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა გასტიტოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობა თავდასხმის შემართ?“.

„ეწოშ-რმასიონ“-ი სწერს:

„მიხედან თუ არა ურთიერთობის ჩაშლა? ინგლისელებმა დაკარგეს ელჩი-ტი რუსეთიდან და ისინი იძულებული იქნებიან სხვადან იყიდონ (უფრო მაღალფასებში, ვიდრე საბჭოთა კავშირში ყიდულობდენ) სხვადასხვა პროდუქტები, განსაკუთრებით ხე-ტყე, რომელსაც რუსეთიდან ღებულობდენ. იქნებიან თუ არა ახალი მომწოდებლები ისეთივე ხელსაყრელი კლიენტები, როგორც საბჭოთა კავშირი? თუ წარმოვიდგენთ ყველაზე უფერო ცუდს და დაუშვებთ, რომ ლონდონსა და მოსკოვს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება, მაშინაც კი გადაჭარბებული პესიმიზმით არ უნდა შეეხედოთ სიტუაციას მომავალს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკანასკნელ წლებში წარმატებით გადალახა მრავალი დაბრკოლება. რუსეთის საკითხის ბეკერიტიზირება ფიქრობს, რომ საბჭოები ამ შემთხვევაშიც გამარჯვებული გამოვლენ“. მიუხედავად ამისა, სწერს შემდეგ გაზეთი, საჭირო არაა ვიცრუოდეთ—შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობის გაწევა ომი მარტო შორეული აღმოსავლეთით არ შემოიფარგლება: იგი გადაიქცევა მსოფლიო ომად.

„ვოლონტე“ სწერს:

„ომი კარებზე მოგვადგა. დიახ, კარებზე მოგვადგა, რადგან, თუ მანჯუოურ-ი არ დაამაგრებენ ომ დიდი გზის დახურვით, რომელიც დასავლეთს აერთებს აღმოსავლეთთან, და ხელი წაუპოტინა ავრთვე ცომბორსაც იმისთვის, რომ დაკმაყოფილოს იაპონელები, მაშინ საყოველთაო ომ მშვიდობიანობას ბოლო მოეღება. ტანაკას უბადლებული გეგმა, რომელიც ჯერჯერობით არ არის უარყოფილი ბელოთა დიდი ნაწილი, ჩამოაშოროს რუსეთი ოკეანეს და წართვას მას აღმოსავლეთ -ში თვალუწვდენელი რესურსები. ეჭვს გარეშეა, რუსები ყოველგვარ შესაძლებლობას ამოწურავენ ომის თავიდან ასაცილებლად. ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებენ მტრულ მოქმედებას. მაგრამ იაპონია, რომელიც გათამამებულია ჩინეთში ჩატარებული ოპერაციებ ით, უკვე აღარ უწევს ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს მისი აგრესიული აქტების შესახებ. არ კმარა ლიპარიკი საფრთხის არსებობის შესახებ. საჭიროა ამ საფრთხის თავიდან აცილება“.

ჟან-სადული.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინელებმა დატოვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები

შანხაი, 13 მაისი. ჩინური ცნობებით, მიუხედავად იაპონის აგრესიული დასაწყისი საზღვრები, ამასთან გერმანიის უერთდება არა მარტო პოლონეთის კორიდორი, არამედ პოზნანის სივრცეშიც, აგრეთვე პლოცკის და კალიშის სავოევოდოს ნაწილიც.

4. „გზადაზა“ გერმანია ითხოვს ბალტიის ქვეყნებს—ლიტვის, ლატვიის და ესტონეთს.

5. ანგარიშად როორგანიზებული გერმანია აღიარებდა „ჩაქიდილი“ რუსეთსა და საერანგეთს შორის და დაიწყებს ბრძოლას საბჭოთა კავშირიდან უკრაინის ჩამოშორებისათვის.

ა- ფანტასტიური გეგმის განსახორციელებლად როზენბერგი მოითხოვდა მიეცათ გერმანიისათვის შეიარაღების უფლება. ლიტახასათვისაა ცნობილია, რომ თავისი გეგმის ზოგიერთი ნაწილების (ავსტრიის და ბალტიის ქვეყნების შეერთება) განხორციელებას როზენბერგი ცდილობდა არა იმდენად პირდაპირი სამხედრო თავდასხმის გზით, არამედ რამდენადაც შესაფერი ქვეყნების „ნაციონალური გამოვლის“ ინსპირირობით.

არავინ იცის, თუ როგორ მიიღეს ჩინელებმა გეგმა დიტერდინგის წერეებში, მაგრამ მთავრობის წრეებში ამ გეგმებმა განოიწვია შეშფოთება. ეს განწყობილება ნაკარნახეთა არა იმით, რომ მათ არ სურთ მოამზადონ ანტისაბჭოთა ინტერვენცია, არამედ იმის შეზეხებით, რომ როზენბერგის გეგმის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს საყოველთაო ომი ევროპაში. ე. ი. სწორედ ის, რისიც ასე ეშინია ბრიტანეთის იმპერიალიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ როზენბერგი ცრუად მიიღეს ლონდონში და გრძელდება ანტიდაშინატური დემონსტრაციები, მას განზრახული აქვს განაგრძოს მოლაპარაკება. როზენბერგი მიეწვიეს ლოდის კოშკში (კინტის საგრაფო) და, როგორც იტყობინებიან, იგი იქ შეხვდება ბრიტანეთის თვალსაჩინო მოღვაწეებს.

ნაციონალ - სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები არ ეწყობა. მაგალითად ამ სისტემის რესტორანში, სადაც ცხოვრობს როზენბერგი, არიგებდენ ანტიდაშინატურ ფურცლებს. ანტიდაშინატური დემონსტრაციების ადგილად გადაიქცა ომში დახოცილთა ძეგლი, რომელიც როზენბერგმა შეამკო თავისი ყვავილოვანი გვირგვინით (ადს).

იზაკოვი.

ფაშისტების ლაშქრობა დანციგის წინააღმდეგ

გოიერიშებს ხელთ იგდებს დანციგის პროფკავშირები

ვარშავა, 13 მაისი. როგორც დანციგიდან იუწყებიან, პოლიციისა და მოქირავნეთა რაზმი ჩაიგდო დანციგში და დაიკავა მუშათა პროფკავშირების შენობა. ჯერ პოლიციელმა ალყა შემოარტყა პროფკავშირების შენობის მახლობლად მდებარე ჭიქებს და აკრძალა დაკავებულ შენობასთან. მუშებს ფანტავდენ რეზინის ჯოხებით. დაპატიმრეს დანციგის სოციალისტური პარტიის ლიდერი—ბრანდტი, პროფკავშირთა გენერალური მდივანი—კაიზერი და გაზეთ „დანციგერ ფოლკსშტიმმე“-ს მთავარი რედაქტორი—ტომპკი. ქალაქში დიდიან მოიერიშეთა მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებიც პოტოკიკლეტებითა და ავტომობილებით ჩამოვიდენ გერმანიიდან. ფაშისტების ძალადობის საპასუხოდ გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

დანციგის პროლეტარიატი აღფოთებულია

ვარშავა, 13 მაისი. დანციგიდან იუწყებიან, რომ იქ შესდგა მუშათა მძლავრი დემონსტრაცია ერთა ლიგის კომისრის, შენის წინ დემონსტრანტების მოითხოვეს ლონისძიებების მიღება ბრაუნ-სოციალისტების მიერ რეფორმის პროკავშირების, ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის, შეუერთდენ რკინის გზის, სახელოსნოების და დანციგის გემთსაშენის მუშები. გაფიცვა თანდათანობით ეცდება აგრეთვე ქერძო საწარმოებსაც (ადს).

საბჭოთა კავშირი და პოლონეთი

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია

ვარშავა, 13 მაისი. საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია მიიღო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა, აგრეთვე მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრმა ზაუიცკიმ. (ადს).

გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

კონფერენცია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე

13 მაისს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკური კონფერენცია—ბრძოლის საფეიერო და საკვირველ მრეწველობაში პროდუქციის გაუმჯობესების საკითხებზე. კონფერენციას ესწრებიან, როგორც ტრესტების, ასე ცალკე ფაბრიკების, შესაფერისი პროფესიონალური ორგანოების, გამსაღებელი და მომმარაგებელი ორგანიზაციების და ფაბრიკების ადგილობრივი მუშათა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

რა იწვევს წუნს აბრეშუმის მრეწველობაში

აბრეშუმის მრეწველობაში წუნთან ბრძოლის საკითხებზე მოხსენებით გამოსულ ამხ. ს. ჩომახიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში აბრეშუმის საქსოვ მა ფაბრიკამ მოგვცა 5.835 მანეთის წუნი, რაც კვარტალის განმავლობაში სოციალური საერთო პროდუქციის 7,8 პროცენტს უდრის. წინა წლის შესაფერის პერიოდში კი წუნდებული პროდუქციის რაოდენობა შეა დგენდა 14,5 პროცენტს. ამგვარად უკანასკნელ ხანებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას საგრძნობი წინსვლა ეტყობა, მაგრამ წინსვლა კიდევ არაა დამაკმაყოფილებელი.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე ურაფოთო გავლენას ახდენს მუშა-ხელის დენადობა, ნედლი მასალის დაბალი ხარისხი, ნედლ მასალაზე მუშაობის ტექნიკური პროცესების შეუსწავლელობა, ფაბრიკის დამზრე მასალებით მოუმზადებლობა და მეორე რიგი სხვა მიზეზები. ეკონომიური მრეწველობის ნედლეულის სახ. კომისარიატის ქსოვილების სექტორის ინსპექტორმა ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია წუნთან ბრძოლის საქმის მდგომარეობა ჩვენს საქსოვ-ტექსტილის ფაბრიკებში და გამოიმუშავა ღონისძიებები წუნის შესამცირებლად.

ამ ღონისძიებათა შინაარსი მდგომარეობას იმაში, რომ წუნისათვის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერება ეკისრება ხელმძღვანელ მეურნეებს, რომლებიც მიმართულებას აძლევენ წარმოების ნედლეულის, ნახევრად ფაბრიკატების და ამის შედეგად, ადგილი აქვს წუნის გამოშვების საგრძნობ შემცირებას ყველა ფაბრიკებში. განსაკუთრებით კარგი შედეგებია მიღებული მეორე სამკერავ ფაბრიკაში.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე დიდი გავლენა მოახდინა ტექნიკური კონტროლის შემოღებამ, რაც მიმდინარე წლის დასაწყისამდე არ არსებობდა.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

კულტმშენებლობის ცენტრალური საბჭოს პლენუმი

ამას წინათ, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შედგა სქ. ცაკთან არსებული კულტმშენებლობის ცენტრალური საბჭოს პლენუმი, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი ერთიანი კულტფინგეგმების შედგენისა და განხორციელების შესახებ. ალნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი—ამხ. ხ. ფანცხავა.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1930 წლის 25 იკლისის დადგენილება ერთიანი კულტმშენებლობის წორმების შესახებ, საქართველოში უკვე ხორციელდება. სამეურნეო, პროფესიული, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციები კულტმშენებლობის დაფინანსებას აწარმოებენ მთლიანი გეგმის მიხედვით. მთელი 1932 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით დაიხარჯა 15.275.000 მანეთი, ადგილობრივი ბიუჯეტით 58.504.300 მანეთი, სამეურნეო ორგანიზაციებმა დახარჯეს—11.234.300 მანეთი, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა — 2.029.800 მანეთი და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებმა 1.036.100 მანეთი. სულ დახარჯულ იქნა 88.079.500 მანეთი. მიმდინარე წელს კი, კულტმშენებლობის მთლიანი გეგმის შესასრულებლათ გათვალისწინებულია 102.074.500 მანეთის დახარჯვა.

პლენუმმა წინადადება მისცა ყველა სამეურნეო-პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ კულტმშენებლობის გეგმის შესრულება აწარმოონ იმ ფინგეგმების მიხედვით, რომელიც მათ დაამტკიცეს სათანადო სადირექტივო ორგანოებმა. განსაკუთრებული სახ. კომისარიატს და საგეგმო კომისიას დაევალა ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილებზე კულტმშენებლობის მთლიანი გეგმების დამუშავების საქმეს.

მეორე საკითხათ პლენუმმა მოისმინა მოხსენება საგაზაფხულო სასოფლოსამეურნეო კამპანიის კულტყოფაცხოვრებითი მომსახურეობის გაწევის შესახებ. პლენუმმა დაადგინა ყველა ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელების საქმეს, რომლებიც მიმართულია გაზაფხულის თესვის წარმატებით დამთავრებისაკენ. სახ-ბა „საქ. ჩაის“, ცეკავშირს და სამტრესტს მიეთითა გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელებისაკენ, ხოლო ცალკე აღინიშნა, რომ მომარაგების სახ. კომისარიატს სრულიად არ ჰქონია გაზაფხულის თესვისათვის კულტმომსახურების გაწევის გეგმა.

პარტაქტივის გადასამზადებელ სერამის სპეციალურ კურსებზე მიღების პირობების შესახებ

1. პარტაქტივის თეორიული და პოლიტიკური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით სქ. კ. პ. (ბ) ცეკა სერამიკაში აწყობს სამთვიან კურსებს 10 ივნისიდან 10 სექტემბრამდე.

2. კურსებზე იქნება შემდეგი განაყოფილე ბანი:

ა) პარტიულ-ორგანიზაციული 200 მსმენელით.

ბ) საინსტრუქტორო - პროპაგანდისტული — 100 მსმენელით.

3. სასწავლო ჯგუფები შეესებული იქნება დარგობრივ-საწარმოო პრინციპის მიხედვით.

ა. პარტიულ-ორგანიზაციულ განყოფილებაზე იქნება 8 ჯგუფი, თვითეული 25 კაცისაგან შემდგარი, მათ შორის:

ა) ერთი ჯგუფი სპეციალურად სამრეწველო საწარმოთა, ახალშენებათა და ტრანსპორტის საშტატო ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებისათვის.

ბ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების საშტატო ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებისათვის: მედიენობის — 5 კაცი, „მეეენახეობა-მებოსტნეობის — 4, მემინდვრეობა - მეცხოველეობის — 4, ჩაის და სართავი, კულტურების — 12. სულ —25 კაცი.

სწავლება ქართულ ენაზე

ა) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ მსხვილ საწარმოთა და ახალშენებათა უჯრედების მდივნებისათვის — 25 კაცი,

ბ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების მსხვილ კოლმეურნეობათა უჯრედების მდივნებისათვის: მემინდვრეობა-მეცხოველეობის — 8 კაცი, მებაღეობა-მებოსტნეობის — 9, მეღვინეობის — 8. სულ 25 კაცი.

გ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების მსხვილ კოლმეურნეობათა უჯრედების მდივნებისათვის: ჩაის კულტურის — 16 კაცი, სართავი კულტურების — 9. სულ—25 კაცი.

სწავლება რუსულ ენაზე

დ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების მსხვილ კოლმეურნეობათა უჯრედების მდივნებისათვის: მეთამბაქოობის — 9 კაცი, მებამბეობის — 8, მეხილეკრძობა - მეცხოველეობის—8. სულ 25 კაცი. 100 კაცი.

სწავლება ქართულ ენაზე

ე) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ სატრანსპორტო კომუჯრედების მდივნებისათვის — 25 კაცი.

3) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მეურნეობების მსხვილი კომეჯრედთა მდივნებისათვის — 25 კ.

ზ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ სამინქანო-სატრაქტორო სადგურების უჯრედთა მდივნებისათვის 25 კ.

სწავლება რუსულ ენაზე

თ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ კომკავშირის რაიკომების მდივნებისა და სოორგ. განყ. გამგეებისათვის — 25 კ. სულ პარტ. ორგ. განყ. 200 კაცი.

სწავლება ქართულ ენაზე

ა) საინსტრუქტორო-პროპაგანდისტულ განყოფილებაზე იქნება 4 ჯგუფი, თვითეული 25 კაცისაგან შემდგარი, მათ შორის:

ა) ერთი ჯგუფი სპეციალურად სამრეწველო საწარმოთა, ახალშენებათა და ტრანსპორტის საშტატო ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებისათვის.

ბ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების საშტატო ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებისათვის: მეღვინეობის — 5 კაცი, „მეეენახეობა-მებოსტნეობის — 4, მემინდვრეობა - მეცხოველეობის — 4, ჩაის და სართავი, კულტურების — 12. სულ —25 კაცი.

სწავლება რუსულ ენაზე

გ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ რაიონების საშტატო ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებისათვის: მეთამბაქოობის—10 კაცი, მებამბეობის — 6, მემინდვრეობა-მეცხოველეობის — 9. სულ 25 კაცი.

სწავლება ქართულ ენაზე

დ) ერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ კომკავშირის რაიკომების პროპაგანდისტებისათვის 25 კაცი.

სულ საინსტრ.-პროპაგანდისტ. განყოფ.—100 კაცი.

ვ) კურსებზე მისაღებ კანდიდატების შერჩევის დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული, რომ პარტორგანიზაციებმა მათ პარტორგანიზაციებში ამ კურსებზე მიღების წესების სრული დაცვით გამოარჩიონ ის ამხანაგები, რომლებიც ამ კურსებზე მიღების ინსტრუქციის მიხედვით ამისათვის ვარგისად ცნობილ იქნებიან.

4) მიღებულთა მსმენელნი, რომელნიც დასწეულებული არიან სხვადასხვა ავადმყოფობით და ესაჭიროებათ ხანგრძლივი დასვენება, კურსებზე არ მიიღებიან და, თუ ასეთები აღმოჩნდენ, ისინი უკან დაბრუნებულ იქნებიან მიცლინებულ ორგანიზაციის ხარჯზე.

5) პოლიტიკური და საერთო-საგანმანათლებლო მომზადების დონის შესამოწმებლად და სათანადო ჯგუფებში განსაწესებლად, ჩამოსული ამხანაგები, მსმენელები შემოწმებულ იქნებიან კურსების სპეციალურ შემოწმებელი კომისიის მიერ.

6) კურსების მსმენელნი 10 ივნისიდან 10 სექტემბრამდე ინარჩუნებენ მათ საშეალო ხელფასს მუშაობის ადგილზე, მსმენელნი უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და საერთო საცხოვრებლით კურსების ხარჯზე. კურსებზე მიკლინებულ მსმენელთა ჩაცვლად შეიძლებიან იმუშავებენ ამხანაგები—უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლის სტუდენტები და საბჭოთა პარტსკოლის კურსანტები, რომელნიც საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებიან. შტატის გადიდება არ არის ნებადართული.

7) აკრძალულია მსმენელთა ჩამოსვლა კურსებზე ოჯახის წევრებით, რადგან კურსები მსმენელთა ოჯახის წევრებს არ უზრუნველყოფენ არც კვებით და არც საერთო საცხოვრებლით.

8) გასაგზავნ მსმენელთა სიას ამტკიცებს სოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების ბიუროს, სხდომა.

9) კურსებზე მიღებული ამხანაგები აუცილებლად პარტიის წევრები უნდა იყვნენ.

10) ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კურსებზე ჩასკვასთან სურამამდე, კისრულობენ მიმავლინებელი ორგანიზაციები, უკან დაბრუნებისათვის საჭირო ხარჯებს კისრულობენ კურსები.

11) კურსების მსმენელთა გულდასმით შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით სოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები განაწილების მიხედვით არა უგვიანეს 1933 წლის 25 მაისისა, გზავნიან ცეკას საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში სურამის კურსებზე მისავლინებელ მსმენელთა სიებს გვარის, სახელის, პარტსტაჟის და მუშაობის ადგილის აღნიშვნით, მოკლე საქმიანი დახასიათებით.

სურამის კურსებზე მისაღებ მსმენელთა წინასწარი შერჩევის შედეგებს ცეკას საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება გამოაცხადებს არა უგვიანეს 1 ივნისისა, რის შემდეგ საჭიროა მსმენელთა გაგზავნა სურამში არა უგვიანეს 8 ივნისისა.

მიცლინებულ კურსანტებს თან უნდა ექნეთ შემდეგი საბუთები და ნივთები:

ა) კურსებისმსმენელის ანკეტა, შევსებული რაიკომის მიერ;

ბ) მოწმობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ,

გ) რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, ან სოლქო კომიტეტის სამიელინები მოწმობა,

დ) ტანსაცმელი,

ე) თეორიული სამოლისათვის და სატაბლეტი,

ვ) ბალიში და საბანი.

კურსების მისამართი—სურამი—კურსების კანცელარია.

მეცადინეობა დაიწყება 1933 წლის 10 ივნისს.;

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგ.-საინსტრ. განყოფილების გამგის მოადგილე

გარსევანოვი.

კურსების გამგე—ერძომაიშვილი.

კარტიული და საბჭოთა კანონდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანყოფილებას „პრავდა“-ს სახელობის უჩრანალისტების საკავშირო კოოპერატორი იქნა ნ. ალგიანი. „პრავდა“-ს სახელობის ჟურნალისტის საკავშირო კომოსნტური ინსტიტუტში მიიღებიან საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანყოფილებაში ამხ. პაპანდოპულოსთან. განცხადების შემოტანის ვადათ დაწესებულია არა უგვიანეს 25 მაისი.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპაგანყ. გამგის მოადგილე ა. გიორგაძე.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპაგანყოფილება წინადადებას აძლევს რაიონის ყველა პარტ უჯრედებს, პარტსწავლების მორიგ ღღეს მასიური პარტგანათლების მთელ ქსელში დაამუშაონ ტულის წითელდროშოსანი ქარხნების მუშათა მიმართვა მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხის შესახებ.

დღეს, 15 მაისს, საღამოს 8 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს დაამ. მუშაკორთა საბარგაძო ორგანიზაციების

სემინარის მერვე მეცადინეობა

დასწრება მსმენელთათვის სავალდებულოა. მეცადინეობა იწყარმოებს გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთ. პროსპ. 16).

გაზ. „კომუნისტი“-ს დამქვაბელ მუშაკორთა საბარგაძო.

ქრონიკა

ფარმაცევტთა ახალი კადრები

წელს თბილისის ფარმაცევტიული ტექნიკუმი დაამთავრა შემდეგ პირებმა: ე. არღახაშვილი, ე. ადუაშვილი, ნ. ალიაშვილი, ლ. ალიხანოვი, მ. ბარბაქაძე, ლ. ბიბილეიშვილი, მ. გარჩილაძე, ფ. ვოცირიძე, დ. გომბერაშვილი, ი. თოთიბაძე, შ. თავამაიშვილი, თ. კეცწონია, ალ. კაკაკაშვილი, ს. კაკულია, ბ. მღებრიანი, შ. მექვაბიშვილი, მ. ყარყოჯ, ვ. ნაფეტვარიძე, შ. წაშნიანიძე, ფ. ლაზარევი, ქ. რუსია, ა. სხირტლაძე, მ. ფშავლიშვილი, ვ. ცინცაძე, თ. ჩარკვიანი, ლ. ჩუბინიშვილი, მ. შოსტი, თ. ხარებავა, თ. ხორბლაძე, დ. ცინცაძე.

სხვადასხვა

☐ მთავრობის სახახლის წითელ დარბაზში დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება თბ. სახ. უნივერსიტეტის საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

☐ სახ. კონსერვატორიის დარბაზში დღეს საღამოს 9 საათზე გაიმართება ასპირანტ ვ. ხმალაძის კონცერტი.

☐ გამოვიდა და იყიდება კალე ბობოხიძის წიგნი: „ლეჩხუმის ლაშქრობა“. გამოცემა სახელგამის.

კრიმინალური ქრონიკა

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.

სახის სილამაზის მოვალა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუშწყვებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22, 13—4

ექ. ხ. დ. დილბანელი

სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი. მწვავე და ქრონიკ. სუსუნატი და ხანგრძლივი სუსურატების მკურნალობა

მიღ. საღ. 6-9 ს. თეატრალური შეს. № 11 (ბ) სახ. ოპერის თეატრის გვერდით. 13—1

ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტები ჩ.გ.

სხვადასხვა: კომკავშირის მანდატი სალქ 7043707 მიზეიელ არაბიძის, ალკ საწევრო ბილეთი მიშა ჯღელიანი, კომკავშირის საწევრო ბილეთი 7044456 აგრაფინა რობაქიძის. ომის ინვალიდობის წიგნაკი 269 სარქის აბრამიანცის, კომკავშირის საწევრო ბილეთი 7048285, პიონერთა ხელმძღვანელობის მოწმობა. სიღარიბის მოწმობა 55 ილია (კაკილა) მდებნიშვილის, ბორჯომინწყლების ჩამწყობი ქარხნ. რგებელი ბეკედი ჩ/ა საშუალო სასწავლ. დამთავრების მოწმობა 36 ვარლამ კვინიკაძის, კომკავშირის მანდატი 46256 იაშა გუგავასი, სხვადასხვა საბუთები ლადიმერ მათიაშვილის, პირადობის მოწმობა და მეტრ. ამონაწერი გ. ბაკრაძის.

ქავშირის წიგნაკები: ვალოდია გაგნიძის 581195, აგრაფინა რობაქიძის 65665, სოლომონ ასტაუროვის 22381, ლონგინოზ გორგოშიძის, ალექსანდრე ჯღიაშვილის ხუმბერ ისაიანცის 11935; იაშა გუგავასი 3650 და სხვადასხვა მოწმობები, ალექსი ცუცხაშვილის 53620, ალექსი ურდულაძის, გ. ბაკრაძის 586375.

კოოპერატივის წიგნაკები: შოღაკატ ბაბუშიანის 287.

საბჭოდარმ წიგნაკები: პეტრე დვალის, სოლომონ ასატუროვის, ლონგინოზ გორგოშიძის, პროკოფი კვიტაიშვილის, ხუროზეგ ჯღილაშვილის, ვალ. კობერიძის, ვანო ჯუკუნდრიშვილის

კბილის ექიმი

დ. ხ. რიჟინაშვილი

კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების ემტკივნეულად ამოღება ყოველგვარი ნელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება 10—3 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე. 25—10

ქ. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ-ორთქ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად ძნელაძის ქ. (ყოფ. სპაორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან. 25—11

დამწუხრებული ცოლი ნინა, შვილები: გოგი, ეანო, ძმა დავითი ცოლშვილით, და თამარი ქმრით, რძალი თამარი შვილებით იუწყებიან საყვარელ

დიმიტრი ნიკოლ.-ძე კოტეტიშვილის

გარდაცვალებას, სამოქალაქო პანაშვიდი 4 ნახ. სასთუმ. ფასანაურის შეს. 4 2—1

„კომუნისტის“ სტამბის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ძველი მებეჭდავის

დიმიტრი კოტეტიშვილის

გარდაცვალებას. უფ

უახლოესი მეგობრები: მიტო, კატუშა ხაჩიძეები, გოგი, ლეო გამკაძეები, რომანი, საშა ბლიაძეები, გოგი, მარგალიტა კაკაბაძეები მწუხარებით იუწყებიან ირაკლი ლაგვენტი-ძე ქარუმიძის დედის

მარინე ქარუმიძის

გარდაცვალებას. 238

ექიმები: თამარა რამიშვილი, ლიუსია მარი ანაშვილი და ლადო რაქვიაშვილი მწუხარების გამოსთქვამენ საყვარელ მეგობრის

სუსანა (კუკუშა) ებრალიძის

გარდაცვალების გამო, დაკრძალვა მოხდა 13 მაისს, თბილისში. 208

ზესტაფონის „სოიუზპეჩატის“ ბიუროს თანამშრომლები: ვანო ლდრაგოშვილი, შალიკო ბალავაძე, გოგი კიკნაძე, მიშა აბაშიძე, ჟორჟიკა მუმლაძე, სიმონ წიწუაშვილი დავსტირიან ამავე „სოიუზპეჩატის“ ბიუროს რაიორგანიზატორის

დათიკო ჩიბურდანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 218

ღრმად დამწუხრებული ძმები: ბეგლარ, გიორგი, დები: ლისა, ბაბინე, ჟოჟონა და ფედოსი იუწყებიან ძვირფასი ძმის

ირაკლი დავითის-ძე კოკოშინაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მაისს 5 ს გამოსვენება რ/გზის სავადმყოფოდან. 225

დამწუხრებული მამა ივანე, დედა მარიამი, ძმები: მიშა, ლეო, გოგა, დები: ბაბუცა, ოლია, რძლები: ნინო, ელენა კუჭავები, სიძე დათიკო რუხაძე შვილებით დავსტირით ახალგაზრდა

მერი კუჭავა-თოფურიას

გარდაცვალებას. 227

გულმოკლული მეუღლე ალექსანდრა, შვილები: გრიშა, თამარა ქმრით, დე. ფუტუნა, ძმები: პლატონი და სერგო ცოლშვილით, დები: ლიდა და ფეფრო ქმრებით იუწყებიან ძვირფას

კოსტა არსენის-ძე ბაბკოტაძის

დაკარგვას. 243

და ბიძა სიძე ალექსოი ლოსაბერიძე, ძმები: ეფრემი, ალექსანდრე, ისიდორე გვეტაძეები ცოლშვილითა, მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დის

ანა გეხარიონის ას. მოსიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 14 მაისს, ონალოში. 230

ტყიბულის სამთო-სამრეწველო სკოლის მექანიკური განრიგის, მეოთხე ჯგუფის მოზაფეები და მასწავლებლები მწუხარებით იუწყებიან ამაეე კურსის მსმენელ, აქტიურ კომკავშირელ

ანატოლი ბაბვას-ძე უკლებას

და